

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების
სამინისტროს
სამოქალაქო ავიაციისა და საზღვაო ტრანსპორტის სფეროებში
მომხდარი სატრანსპორტო შემთხვევებისა და ინციდენტების
მოკვლევის ბიურო

01.01.2017 წელს თბილისის საერთაშორისო აეროპორტის # 103 სადგომზე მომხდარი ინციდენტის (ავიაკომპანია "ჰეგასუსი"-ს მიერ ექსპლუატირებულ საჰაერო ხომალდის საწვავით გამართვის დროს, შპს „ტავ ურბან საქართველოს“ ბარგის ტრანსპორტიორის შეჯახება შპს კომპანია „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“-ს საწვავგასამართი ჰიდრანტის სარქველზე და საწვავგამმართველი დისპენსერის რეზინის მილის ზედა ნაწილზე) მოკვლევის ანგარიში.

თბილისი 2017 წ.

ინციდენტის დრო და თარიღი - 03სთ. 45წთ. (ადგ.დრო) 01.01.2017წ.

ინციდენტის ადგილი - თბილისის საერთაშორისო აეროპორტის # 103
სადგომი.

საავიაციო შემთხვევის ან ინციდენტის მოკვლევის ერთადერთი მიზანია მომავალში საავიაციო შემთხვევის ან ინციდენტის თავიდან აცილება. მოკვლევის მიზანი არ არის ვინმეს ბრალულობის წილის ან პასუხისმგებლობის დადგენა. (ჩიკაგოს 1944 წლის კონვენცია, დანართი 13. მუხლი 3.1.)

სარჩევი

1. ფაქტობრივი ინფორმაცია

1.1. სხეულის დაზიანება

1.2. საჰაერო ხომალდის დაზიანება

1.3. სხვა დაზიანებები

1.4. ინფორმაცია შპს „ტავ ურბან საქართველოს“ - სახმელეთო მომსახურების დეპარტამენტი

1.5. ინფორმაცია შპს კომპანია „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“-ს სამსახურზე

1.6. მეტეოროლოგიური ინფორმაცია

1.7. სამედიცინო და პათოლოგიური მონაცემები

1.8. ხანძარი

2. ანალიზი

3. დასკვნა

4. უსაფრთხოების უზრუნველყოფის რეკომენდაციები

ზემოაღნიშნული საავიაციო მოვლენის მოკვლევა განხორციელდა სამოქალაქო ავიაციისა და საზღვაო ტრანსპორტის სფეროებში მომხდარი სატრანსპორტო შემთხვევებისა და ინციდენტების მოკვლევის ბიუროს მიერ, სამოქალაქო ავიაციის სფეროში მომხდარი საავიაციო შემთხვევებისა და ინციდენტების სამსახურებრივი მოკვლევის წესის მოთხოვნების შესაბამისად.

მოკვლევა დაიწყო
დამთავრდა

03.01.2017წ.
20.01.2017 წ.

1. ფაქტობრივი ინფორმაცია

01.01.2017 წელს თბილისის საერთაშორისო აეროპორტის # 103 სადგომზე მიმდინარეობდა ავიაკომპანია "პეგასუსი"-ს მიერ ექსპლუატირებული საჰაერო ხომალდის გაფრენისწინა მომზადება - საწვავით გამართვა, როდესაც შპს „ტავ ურბან საქართველოს“ სახმელეთო მომსახურების დეპარტამენტის ბარგის ტრანსპორტიორი, რომელიც მოიხსნა საჰაერო ხომალდის უკანა საბარგულიდან, უკუსვლის პროცესში შეეჯახა შპს კომპანია „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“-ს საწვავგასამართი ჰიდრანტის სარქველს და საწვავგამმართველი დისპენსერის რეზინის მილის ზედა ნაწილს, რომელიც დაერთებული იყო ჰიდრანტზე. შეჯახების შედეგად გამოწვეულმა დაზიანებებმა გამოიწვია მცირე რაოდენობით ავია საწვავის # 103 სადგომზე დაღვრა. საწვავის დაღვრა ოპერატიულად შეჩერებულ იქნა შპს კომპანია „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“-ს საწვავგამმართველი საწარმოს ტექნიკური მენეჯერის მიერ, ხოლო # 103 სადგომზე დაღვრილი საწვავის ლიკვიდაცია და სადგომის შემდგომი დასუფთავება ოპერატიულად მოახდინა შპს „ტავ ურბან საქართველოს“ სახმელეთო მომსახურების დეპარტამენტმა.

1.1. სხეულის დაზიანება

ინციდენტის დროს ვინმეს სხეულის დაზიანებას ადგილი არ ქონია.

1.2. საჰაერო ხომალდის დაზიანება

ინციდენტის დროს საჰაერო ხომალდის დაზიანებას ადგილი არ ქონია.

1.3. სხვა დაზიანებები

ინციდენტის დროს დაზიანდა შპს კომპანია „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“-ს საწვავგამმართველი ჰიდრანტული დისპენსერის რეზინის მილის თავის შიგთავსი და ჰიდრანტის ზედა ნაწილი.

1.4. ინფორმაცია შპს „ტავ ურბან საქართველოს“ -სახმელეთო მომსახურების დეპარტამენტზე და პერსონალზე.

შპს „ტავ ურბან საქართველოს“ -სახმელეთო მომსახურების დეპარტამენტს, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ 15.11.2016 წელს გაცემული „საავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების სერტიფიკატით # GE.050H, რომელიც მოქმედია 15.11.2017 წლის ჩათვლით მინიჭებული აქვს უფლება აწარმოოს საავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურება აღნიშნული სერტიფიკატის დანართის შესაბამისად.

შპს „ტავ ურბან საქართველოს“ -სახმელეთო მომსახურების პერსონალი, რომელიც უშუალოდ ახორციელებდა ბარგის ტრანსპორტიორის მართვას - სპეციალობა - მძღოლი ოპერატორი
გვარი სახელი - (დეიდენტიფიცირებულია)

აეროდრომზე საჰაერო ხომალდების მომსახურების და სპეცმანქანების (მექანიზმების) მართვის მოწმობა - # 0445
გაცემულია 2016 წლის 30 ივნისს
შპს „ტავ ურბან საქართველო“-ს გენერალური მენეჯერის

2016 წლის 22 ივნისის # 0944 ბრძანებით

მოქმედია - 01.07.2017წ

სამედიცინო შემოწმება და ალკოტესტი გავლილი აქვს 01.01.2017წ 3სთ.50წთ.

1.5.ინფორმაცია შპს კომპანია „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“-ს სამსახურზე და სპეციალისტებზე

შპს კომპანია „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“-ს საჰაერო ხომალდების საწვავით გამართვის უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ 27.10.2016 წელს გაცემული სერტიფიკატით N2 23271016, რომელიც მოქმედია 31.05.2019 წლის ჩათვლით.

შპს კომპანია „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“-ს ტექნიკური პერსონალი, რომელიც უშუალოდ ახორციელებდა საჰაერო ხომალდის საწვავით გამართვას:

სპეციალობა - საწვავგამმართველი საწარმოს ტექნიკური პერსონალი

გვარი სახელი - (დეიდენტიფიცირებულია)

ტექნიკური პერსონალის მოწმობა - # 000011

გაცემულია სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ - 30.01.2013წ

მოქმედია - 30.01.2017წ

საჰაერო ხომალდების საწვავით

გამართვაზე სწავლების სერტიფიკატები #UIA.FF.)006 და # 288530

საქართველოს სამოქალაქო აეროდრომებზე ტრანსპორტისა

და ქვეითთა მოძრაობის მოწესრიგების წესები და სპეცმანქანის

(მექანიზმის) მიდგომის (გამოსვლის) წესების შესწავლის მოწმობა - გაცემულია

საქართველოს გაერთიანებული აეროპორტების დირექტორის მიერ - 17.12.2015წ

მოქმედია 30.07.2017წ.

სამედიცინო შემოწმება და ალკოტესტი გავლილი აქვს

31.12.2016წ

სპეციალობა - საწვავგამმართველი საწარმოს ტექნიკური პერსონალი

გვარი სახელი - (დეიდენტიფიცირებულია)

ტექნიკური პერსონალის მოწმობა - # 000013

გაცემულია სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ - 30.01.2013წ

მოქმედია - 30.01.2017წ

საჰაერო ხომალდების საწვავით

გამართვაზე სწავლების სერტიფიკატები #UIA.FF.)004 და # 288536

საქართველოს სამოქალაქო აეროდრომებზე ტრანსპორტისა და ქვეითთა მოძრაობის

მოწესრიგების წესები და სპეცმანქანის (მექანიზმის) მიდგომის (გამოსვლის) წესების

შესწავლის მოწმობა გაცემულია საქართველოს გაერთიანებული აეროპორტების

დირექტორის მიერ - 17.12.2015წ მოქმედია 30.06.2017წ.

სამედიცინო შემოწმება და ალკოტესტი გავლილი აქვს

31.12.2016წ

1.6. მეტეოროლოგიური ინფორმაცია

ინციდენტის დროს თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ამინდი იყო კარგი, მხედველობა 10კმ, უნალექო და ღამის განათება # 103 სადგომზე შეესაბამებოდა არსებულ მოთხოვნებს. ამინდი ინციდენტთან კავშირში არ არის.

1.7. ხანძარი

საავიაციო ინციდენტის ადგილზე საჰაერო ხომალდიდან საწვავის დაღვრას და ხანძარს ადგილი არ ჰქონია.

2. ანალიზი

ანალიზი გაკეთებულია შპს კომპანია „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“-ს ტექნიკური პერსონალის, რომელიც უშუალოდ ახორციელებდა საჰაერო ხომალდის საწვავით გამართვას ახსნა-განმარტებითი ბარათების, სერტიფიკატების, მოწმობების, ტექნიკური აქტის, „სამოქალაქო საჰაერო ხომალდის საწვავგასამართი საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის სახელმძღვანელო“-ს ასლების, ინციდენტის ადგილზე გადაღებული ფოტო მასალის, ასევე შპს „ტავ ურბან საქართველო“-ს მიერ წარმოდგენილი მძღოლი ოპერატორის და ცვლის უფროსის ახსნა-განმარტებითი ბარათების, სერტიფიკატების, ალკოტესტის, „რამპ ჰენდლინგის“ სამსახურის ექსპლუატაციის სახელმძღვანელოს, სახმელეთო ინციდენტის /შემთხვევის დაზიანების მოხსენების ფორმა, მიწისზედა სამსახურის „ტექნიკის შეკეთების ფორმა“, ასევე სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია ICAO-ს სახელმძღვანელო დოკუმენტი Doc 9977 AN/489 – “Manual on Civil Aviation Jet Fuel Supply” და საერთაშორისო საავიაციო ტრანსპორტის ასოციაცია IATA-ს სახელმძღვანელო „საავიაციო საწვავის ხარისხის კონტროლი და გამოყენების სტანდარტები საწვავით გამართვის სამსახურებისათვის - ინსპექტირების გაერთიანებული ჯგუფი“ ს შესწავლის საფუძველზე.

ინციდენტში ჩართული მხარეების მიერ წარმოდგენილი ზემოაღნიშნული მასალის შესწავლა-გაანალიზებამ გვიჩვენა, რომ ინციდენტში ჩართული მხარეები შპს „ტავ ურბან საქართველო“-ს სახმელეთო

მომსახურების დეპარტამენტი და შპს კომპანია „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“ სერტიფიცირებული ავიასაწარმოებია და სერტიფიცირებული პერსონალის მეშვეობით, არსებული ეროვნული და საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად ახორციელებენ საჰაერო ხომალდების სხვადასხვა სახის მომსახურებას.

მოკვლევისას გამოვლენილი ნაკლოვანებები:

შენიშვნა 1.

შპს „ტავ ურბან საქართველო“-ს „რამპ ჰენდლინგის“ ექსპლუატაციის სახელმძღვანელოს მუხლი 3.3. Safety Precautions for GSE (უსაფრთხოების ზომები მომსახურებისას) მოთხოვნაა:

ციტატა - „რისკების შემცირების მიზნით სპეცტრანსპორტის საჰაერო ხომალდთან მისვლის ან უკან გამოსვლის დროს განხორციელდეს მძღოლისთვის გზის ჩვენება - Marshaling.“ - არასათანადოდ შესრულდა

შენიშვნა 2.

შპს კომპანია „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“ -ს „სამოქალაქო საჰაერო ხომალდის საწვავგასამართი საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის სახელმძღვანელო“-ს მუხლი 6.4 დ). მოთხოვნაა:

ციტატა - „საჰაერო ხომალდის საწვავით გამართვის პროცესში მანქანის მიწოდების შლანგები ისე უნდა იყოს განლაგებული, რომ გამოირიცხოს მათზე სხვა მანქანების (რომლებიც ემსახურებიან ხომალდს) გადავლის და დაზიანების საშიშროება.“ - არასათანადოდ შესრულდა


შენიშვნა 3.

სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია ICAO-ს სახელმძღვანელო დოკუმენტი Doc 9977 AN/489 – “Manual on Civil Aviation Jet Fuel Supply” თავი 5. AIRPORT STORAGE AND HYDRANT SYSTEMS და საერთაშორისო საავიაციო ტრანსპორტის ასოციაცია IATA-ს სახელმძღვანელო „საავიაციო საწვავის ხარისხის კონტროლი და გამოყენების სტანდარტები საწვავით გამართვის სამსახურებისათვის - ინსპექტირების გაერთიანებული ჯგუფი“-ს მუხლი 6.3. „საჰიდრანტე სისტემის ჭისა და შემავალი შლანგების იდენტიფიკაცია დაცვა“ მოთხოვნაა:

ციტატა-„საწვავით გამართვის ჭის (საჰიდრანტე სისტემის) მიმდებარე ტერიტორიაზე ხილვადობის მუდმივად გასაუმჯობესებლად გასათვალისწინებელია შემდეგი:

ა) ჭის სახურავზე კარგად ხილვადი მომნიშვნელი მოსალოდნელი საფრთხის აღსანიშნავად - ოთხფრთიანი დროშა, რაც წარმოებულია ისეთი მასალით, რომელიც იქნება ადვილად შესამჩნევი, ასევე შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ისეთი საშუალებები, რისი დიზაინიც უზრუნველყოფს ხილვადობას ყველა მხრიდან.

ბ) ღამის საათებში, საჰიდრანტე სისტემის/საწვავის გამართვის ჭის სარქველი და გამშვები შლანგი უნდა იქნეს განათებული უსაფრთხოების წითელი ან სტაფილოსფერი ნათურით ან ტრანსპორტზე დამონტაჟებული პროექტორები უნდა იქნეს გამოყენებული აღნიშნული მიზნის მისაღწევად. დამატებითი ზომები უნდა უნდა იქნეს მიღებული საწვავით გამართვის ჭის და გამართვის მოწყობილობის შლანგის ხილვადობისა და დაცულობის დონის გაზრდის უზრუნველსაყოფად. ეს შესაძლოა გულისხმობდეს რისკის შეფასებას. ასეთი დამატებითი მეთოდები ითვალისწინებს მაღალი ხილვადობის გზის კონუსის ფორმის საშუალებების და გამაფრთხილებელი ნიშნების გამოყენებას.“ - არასათანადოდ შესრულდა



აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული შენიშვნა 1; შენიშვნა 2; შენიშვნა 3-ში ასახული მოთხოვნების სათანადოდ შესრულებით მინიმიზირებული იქნებოდა ინციდენტის დადგომის რისკები.

3.დასკვნა

1). 01.01.2017 წელს თბილისის საერთაშორისო აეროპორტის # 103 სადგომზე მომხდარი საავიაციო მოვლენა (ავიაკომპანია "პეგასუსი"-ს მიერ ექსპლუატირებულ საჰაერო ხომალდის საწვავით გამართვის დროს, შპს „ტავ ურბან საქართველო“ ბარგის ტრანსპორტიორის შეჯახება შპს კომპანია „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“-ს საწვავგასამართი ჰიდრანტის სარქველზე და საწვავგამმართველი დისპენსერის რეზინის მილის ზედა ნაწილზე) კლასიფიცირდება, როგორც **ინციდენტი**.

2). მიუხედავად იმისა, რომ ინციდენტში ჩართული მხარეები შპს „ტავ ურბან საქართველო“ და შპს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“ სათანადოდ სერტიფიცირებული კომპანიებია და მომსახურე პერსონალი შესაბამისად დატრენინგებულია, 01.01.2017 წელს თბილისის საერთაშორისო აეროპორტის # 103 სადგომზე მომხდარი საავიაციო ინციდენტი არა სიტემატიურია და მსოფლიოში არსებული საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით უმეტეს შემთხვევაში გამომდინარეობს ადამიანის ფაქტორიდან.


4. უსაფრთხოების უზრუნველყოფის რეკომენდაციები

1. აეროპორტებში საჰაერო ხომალდების მომსახურების დროს უსაფრთხოების დონის გაუმჯობესების და შემდგომში მსგავსი ინციდენტების პრევენციის მიზნით, მოცემული ინციდენტის მოკვლევის ანგარიში დაეგზავნოს:
 - ა) სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ხელმძღვანელობას;
 - ბ) შპს კომპანია „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“-ს ხელმძღვანელობას;
 - გ) შპს „ტავ ურბან საქართველო“-ს ხელმძღვანელობას.
2. ზემოაღნიშნული კომპანიების ხელმძღვანელებმა უახლოეს დროში უზრუნველყონ მოცემული საავიაციო ინციდენტის მოკვლევის

ანგარიშის განხილვა შესაბამის სამსახურებში და შესაბამისი დამატებითი თეორიულ - პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარება;

3. სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს შესაბამისმა დეპარტამენტებმა უზრუნველყონ შპს კომპანია „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“-ს და შპს „ტავ ურბან საქართველო“-ს შესაბამისი სამსახურების მიერ ზემოაღნიშნული რეკომენდაციების შესრულებაზე დამატებითი მონიტორინგის განხორციელება.
4. ინციდენტში ჩართული მხარეების მიერ მოცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ეცნობოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციისა და საზღვაო ტრანსპორტის სფეროებში მომხდარი სატრანსპორტო შემთხვევებისა და ინციდენტების მოკვლევის ბიუროს.

სამოქალაქო ავიაციისა და საზღვაო ტრანსპორტის სფეროებში მომხდარი სატრანსპორტო შემთხვევებისა და ინციდენტების მოკვლევის ბიუროს უფროსი



დავით გიუნაშვილი